საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/86

ქ. ბათუმი 24 აგვისტო, 2021 წ.

ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების, ამავე პროგრამის ზოგიერთი სტუდენტისთვის 2020-2021 სასწავლო წლის ბოლოს კვალიფიკაციის მინიჭებისა და სხვა საორგანიზაციო ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტისა და ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამისათვის 2015-2016 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 25 დეკემბრის N141 დადგენილების, 2015 წლის 29 სექტემბრის N6 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,ბსუ-ში სწავლის საფასურის გადახდის წესის“, ,,ბსუ-ს უცხოენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასურის გადახდის წესის დამტკიცების თაობაზე'' ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 22 ნოემბრის №07-01/47 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ში დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან (ინგლისურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამაზე 2020-2021 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 09 სექტემბრის N06-01/59 დადგენილების (ცვლილება N06-01/36, 20.04.2021 წ. დადგენილებით), საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 8 თებერვლის საოქმო N27-05/3 და 2021 წლის 06 აგვისტოს N27-05/08 საოქმო გადაწყვეტილებების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის, პროფ. მარინა ქორიძის სამსახურებრივი ბარათის (MES 4 21 0000809144, 20.08.2021) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი (ინგლი-სურენოვან) საგანმანათლებლო პროგრამის 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი **(დანართი 1)**.

2. საქართველოს მთავრობის ან/და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა (რეკომენდაციების) გათვალისწინებით ბსუ-ში 2021-2022 სასწავლო წლის კალენდართან ან/და წარმართვასთან დაკავშირებით, სასწავლო პროცესის სრულად ან ნაწილობრივ ელექტრონულად (დისტანციურად) წარმართვის საჭიროების შემთხვევაში, ასევე სასწავლო (სალექციო) ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისათვის შესაბამისი სამართლებრივი აქტები გამოიცეს ბსუ-ს რექტორის მიერ.

3. სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა უზრუნველყოს 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის (თანდართული უქმე დღეების ჩამონათვალით) ცხრილის შედგენა და ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის წარდგენა.

4. მიღებული იქნეს ცნობად ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცინერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 8 თებერვლის და 2021 06 აგვისტოს N27-05/08 საოქმო გადაწყვეტილებებში ასახული ინფორმაცია ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცინერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე (ინგლისურენოვანი) 2015-2016 სასწავლო წელს და 2016 წლის გაზაფხულზე ჩარიცხული სტუდენტების (N1-2 ნაკადებზე) ჩარიცხული სტუდენტების მიერ 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ჩათვლით დარეგისტრირებული და ათვისებული კრედიტების შესახებ, რაც ფაკულტეტზე განხორციელდა სტუდენტების თხოვნის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებული ,,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, უნივერსიტეტის მართვის ორგანოებთან შეთანხმების, ყოველ სასწავლო წელს აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებების (ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 09 სექტემბრის N06-01/59 დადგენილება და ცვლილება N06-01/36, 20.04.2021წ. დადგენილებით) და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს მიერ ყოველსემესტრულად მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე (ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცინერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 8 თებერვლის და 06 აგვისტოს N27-05/08 ოქმების, თანდართული დანართებით, ცნობილი იქნეს წინამდებარე დადგენილების განუყოფელ ნაწილად).

5. ბსუ-ს ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე (ინგლისურენოვანი) 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ჩარიცხული ბსუ-ს სტუდენტების მიერ პროგრამის მოთხოვნების ნაცვლად 12 სემესტრისა, 11 სემესტრის ბოლოს შესრულებასთან დაკავშირებით ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოს ინფორმაციის (2021 წლის 8 თებერვლის N N27-05/3 საოქმო და 2021 06 აგვისტოს N27-05/08 საოქმო გადაწყვეტილებების) გათვალისწინებით განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჩარიცხული 3 (სამი) სტუდენტი (ე.წ. ,,პირველი ნაკადი“) 2016 წლის გაზაფხულზე ჩარიცხული 9 (ცხრა) სტუდენტი (ე.წ. ,,მეორე ნაკადი“) კვალიფიკაციის მინიჭების საკითხი განხილული იქნეს ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებული ,,,ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს წინამდებარე დადგენილების შესაბამისად და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ფაკულტეტის სამსახურებრივი ბარათი წარედგინოს ბსუ-ს რექტორს;

ბ) ფაკულტეტმა ბსუ-ს რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგინოს სამსახურებრივი ბარათი იმ სტუდენტების (წინამდებარე დადგენილების დანართი 1) შესახებ, რომლებმაც 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის ბოლოს შეასრულეს პროგრამის მოთხოვნები და მიენიჭებათ კვალიფიკაცია (უნდა ერთვოდეს სახელობითი სია, ყოველსემესტრულად ათვისებული სასწავლო კურსების და კრედიტების მითითებით, მათ შორის იმ სასწავლო კურსების, რომლებიც 11 სემესტრის განმავლობაში რომელიმე სტუდენტმა განმეორებით (ე.წ. ,კურსის გავლა“) გაიარა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

გ) ფაკულტეტმა ბსუ-ს რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგინოს სამსახურებრივი ბარათი იმ სტუდენტების შესახებ, რომლებმაც პროგრამის ვადაზე ადრე დასრულების მიზნით წინსწრებით (სასწავლო გეგმით გათვალისწინებულისგან უფრო ადრე, წინა სემესტრებში) დაარეგისტრირეს გარკვეული სასწავლო კურსები, მაგრამ მაინც ვერ შეასრულეს პროგრამის მოთხოვნები და აქვთ აკადემიური დავალიანებები (უნდა ერთვოდეს სახელობითი სია, ყოველსემესტრულად ათვისებული იმ სასწავლო კურსების (შესაბამისი კრედიტების ოდენობით), რომლებიც 11 სემესტრის განმავლობაში რომელიმე სტუდენტმა განმეორებით (ე.წ. ,კურსის გავლა“) გაიარა ან უნდა გაიაროს. ამავე სამსახურებრივ ბარათში უნდა მიეთითოს სასწავლო კურსების 2020-2021 სასწავლო წელს განმეორებით დარეგისტრირების შესაძლებლობის შესახებ);

დ) სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ ფაკულტეტმა ბსუ-ს რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგინოს სამსახურებრივი ბარათი, დამატებითი ინფორმაცია/ბოლო მონაცემები კურსდამთავრებულთა და აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის ფაქტების, დამადასტურებელი დოკუმენტების ან/და არსებული ფინანსური დავალიანების, აღნიშნულ საკითხზე სტუდენტების მომზიდავ კომპანიებთან (2015 და 2017 წლის მემორანდუმების საფუძველზე) არსებული წერილობითი კომუნიკაციის და სტუდენტთა განცხადებების საფუძველზე უნივერსიტეტის მიერ კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ ცნობის ან/და დიპლომის გაცემის შემაფერხებელი ფაქტობრივი გარემოების შესახებ (საჭიროების შემთხვევაში, ფაკულტეტის მიერ აღნიშნული ინფორმაციის დამუშავება და წარმოდგენა უზრუნველყოფილი იქნეს საფინანსო-ეკონომიკურმა დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურიდან გამოთხოვილი/დადასტურებელი მონაცემების, ასევე ბსუ-ს ოფიციალურ ფოსტაზე/კანცელარიაში შემოსული წერილობითი ინფორმაციის გათვალისწინებით).

ე) წინამდებარე დადგენილების **№2 დანართში** აღნიშნული სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ ფაკულტეტმა ბსუ-ს რექტორს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგინოს სამსახურებრივი ბარათი კურსდამთავრებულების პერსონალური მონაცემების შესახებ უახლესი/ბოლო ინფორმაცია (სახელი, გვარი, პასპორტის ნომერი, რეგისტრაციის მისამართი, ელ. ფოსტა/ტელეფონი/საკონტაქტო პირი, მინდობილი პირი, არსებობის შემთხვევაში და სხვა).

6. დადგენილება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ–ს ინგლისურენოვან ვებგვერდზე და შესაბამისმა ფაკულტეტმა უზრუნველყოს შესაბამის სტუდენტთა ინფორმირება.

7. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

8. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

9. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის
24 აგვისტოს N06-01/86 დადგენილების
დანართი 1

ბსუ-ს დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი (ინგლისურენოვანი) საგანმანათლებლო პროგრამის 2021-2022 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარი

1. 2021-2022 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სასწავლო პროცესი დაიწყოს 2021 წლის 25 ოქტომბერს და დასრულდეს 2022 წლის 12 თებერვალს;
2. სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 18 ოქტომბერს და დასრულდეს 23 ოქტომბერს.
3. საშობაო არდადეგები გამოცხადდეს 2021 წლის 31 დეკემბრიდან 2022 წლის 10 იანვრამდე;
4. შემოდგომის სემესტრში ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2022 წლის 14 თებერვლიდან 05 მარტის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2022 წლის 07 მარტიდან 12 მარტის ჩათვლით;
5. გაზაფხულის სემესტრისთვის სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაცია დაიწყოს 14 მარტს და დასრულდეს 19 მარტს.
6. გაზაფხულის სემესტრის სალექციო-სააუდიტორიო სამუშაო დაიწყოს 2022 წლის 21 მარტს და დასრულდეს 09 ივლისს
7. გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2022 წლის 11 ივლისიდან 30 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2022 წლის 01 აგვისტოდან 06 აგვისტოს ჩათვლით.

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის
24 აგვისტოს N06-01/86 დადგენილების
დანართი 2.

№	გვარი, სახელი		პირადი პასპორტის /N	დაბადების თარიღი	ჩარიცხვის ბრძანების N თარიღი	შენიშვნა
	ქართულად	ინგლისურად				
1	ბჰათი სურენდრა სინგჰ	Bhati Surendra Singh		01.01.1998	N01-09/8 12.01.2016	პირველი ნაკადი
2	ჯანგიდ მონუ	Jangid Monu		17.07.1998	N01-09/37 11.02.2016	პირველი ნაკადი
3	კუმარ სონუ	Kumar Sonu		27.01.1998	N01-09/8 12.01.2016	პირველი ნაკადი
4	ალი აკბარ	Ali Akbar		29.09.1996	N01-09/322 25,05.2016	მეორე ნაკადი
5	აჟარუდეენ	Azharudeen		26.01.1999	N01-09/321 23.05.2016	მეორე ნაკადი
6	ბეგუმ რაბია	Begum Rabiya		29.01.1998	N01-09/320 23.05.2016	მეორე ნაკადი
7	ჩანდანა სონალი	Chandana Sonali		26.10.1993	N01-09/321 23.05.2016	მეორე ნაკადი
8	შარმა ბჰარატ კუმარ	Sharma Bharat Kumar		15.12.1994	N01-09/322 25,05.2016	მეორე ნაკადი
9	კამთი ლოკითა	Kamti Lokita		30.12.1995	N01-09/321 23.05.2016	მეორე ნაკადი
10	მოჰდ იუნუს	Mohd Yunus		20.08.1995	N01-09/320 23.05.2016	მეორე ნაკადი
11	შაჰ კევალ ალკეშკუმარ	Shah Keval Alkeshkumar		11.05.1997	N01-09/321 23.05.2016	მეორე ნაკადი
12	სინგჰ აპარნა	Singh Aparna		03.09.1998	N01-09/320 23.05.2016	მეორე ნაკადი